

შპს „ზედაზენი 2012“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშო წლებისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ამონაგები	16
5. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	17
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
7. სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო.....	17
8. მოგების გადასახადი	18
9. ძირითადი საშუალებები	19
10. მარაგები	19
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
12. საგადასახადო აქტივი.....	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	21
16. დაკავშირებული მხარეები.....	24
17. პირობითი ვალდებულებები.....	24
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზედაზენი 2012“-ის ზელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზედაზენი 2012“-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლებისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლებისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალებმა შეადგინა 1,181,550; 283,487 და 251,789 ლარი 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის და ამ თარიღებისათვის კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს გადააჭარბა 1,607,031; 425,481 და 141,994 ლარით, შესაბამისად. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე, თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენ მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ან შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე გამოვხატოთ მოსაზრება
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 აგვისტო 2018

შპს „ზედაზენი 2012“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
ამონაგები	4	42,741,340	33,643,004	28,693,844
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(38,168,508)	(29,371,993)	(25,090,293)
საერთო მოგება		4,572,832	4,271,011	3,603,551
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	5	(4,754,335)	(3,764,669)	(3,126,127)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(539,709)	(401,956)	(436,424)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	7	(460,338)	(314,136)	(294,965)
საოპერაციო ზარალი		(1,181,550)	(209,750)	(253,965)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	-	(73,737)	2,176
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,181,550)	(283,487)	(251,789)

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 16 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ლევან მეფარიშვილი
მთავარი ბუღალტერი	_____	თინათინ შალვაშვილი

შპს „ზედაზენი 2012“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	797,744	165,901	189,086
არამატერიალური აქტივები		24,188	19,495	22,154
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	-	-	20,861
სულ გრძელვადიანი აქტივები		821,932	185,396	232,101
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	10	247,897	102,493	105,719
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	4,841,252	2,559,538	1,531,056
საგადასახადო აქტივი	12	126,414	131,808	245,070
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	596,864	145,439	119,159
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,812,427	2,939,278	2,001,004
სულ აქტივები		6,634,359	3,124,674	2,233,105
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		109,795	109,795	109,795
დაგროვილი ზარალი		(1,716,826)	(535,276)	(251,789)
სულ კაპიტალი		(1,607,031)	(425,481)	(141,994)
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	8,241,390	3,550,155	2,375,099
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,241,390	3,550,155	2,375,099
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,634,359	3,124,674	2,233,105

შპს „ზედაზენი 2012“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება /დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	110,000	935,194	1,045,194
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(205)	-	(205)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(251,789)	(251,789)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(935,194)	(935,194)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	109,795	(251,789)	(141,994)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(283,487)	(283,487)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	109,795	(535,276)	(425,481)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,181,550)	(1,181,550)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	109,795	(1,716,826)	(1,607,031)

შპს „ზედაზენი 2012“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლებისთვის რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან				
ზარალი დაბეგვრამდე		(1,181,550)	(209,750)	(253,965)
კორექტირებები:				
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		(24,440)	-	-
მიღებული მოგება				
მარაგების გაუფასურების ხარჯი		394,960	107,075	61,788
საპრომოციოდ მიწოდებული მარაგები		423,808	291,227	165,405
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		22,722	71,029	181,815
ცვეთა და ამორტიზაცია		71,380	44,481	35,533
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(293,120)	304,062	190,576
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:				
მარაგების ზრდა		(960,429)	(395,076)	(236,869)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,304,436)	(1,099,511)	(502,719)
საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)		5,392	122,568	(83,954)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		4,691,235	1,187,231	1,900,816
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,138,642	119,274	1,267,850
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(62,182)	(220,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,138,642	57,092	1,047,850
საინვესტიციო საქმიანობა				
ძირითადი საშუალებების შეძენა		(682,525)	(17,837)	(136,335)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(4,692)	(800)	(710)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(687,217)	(18,637)	(137,045)
ფინანსური საქმიანობა				
საწესდებო კაპიტლის შემცირება		-	-	(205)
დივიდენდის გადახდა		-	(12,175)	(853,013)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	(12,175)	(853,218)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		451,425	26,280	57,587
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		145,439	119,159	61,572
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		598,864	145,439	119,159

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზედაზენი 2012“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2012 წლის თებერვალში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის დამფუძნებლები წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს.

2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: ხვიჩა მესხიშვილი (70%), ვასილ კობაიძე (20%) და თეიმურაზ მამაცაშვილი (10%). 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის 70%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი – მინდია გუმბარიძე, დანარჩენი მფლობელობის წილი კი უცვლელია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის (ლუდის, უალკოჰოლო და ენერგეტიკული სასმელების) დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით.

კომპანიამ 2015 წელს დააფუძნა 100%-ით წილობრივი მონაწილეობით შვილობილი საწარმო შპს ზედაზენი ქართლი. 2017, 2016 და 2015 წლების საანგარიშო პერიოდებში შვილობილ საწარმოს არ ჰქონდა არც ერთი ოპერაცია და აღნიშნულის გამო მოცემული ფინანსური ანგარიშგება კომპანიისთვის არის იგივე, რომ მომზადებინა კონსოლიდირებული ანგარიშგება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქობულეთის პირველი შესახვევი, #5.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური სირთულეების წინაშე, რაც აღწერილია ქვემოთ:

- კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი და უარყოფითი კაპიტალი, რომელიც 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,607,031, 425,481 და 141,994 ლარს, შესაბამისად;
- კომპანიას აქვს 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლებისთვის მიღებული წმინდა ზარალები 1,181,550, 283,487 და 251,789 ლარი, შესაბამისად;
- ასევე მოკლევადიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად აჭარბებს მთლიან აქტივებს, რა სხვაობაც 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,607,031; 425,481 და 141,994 ლარს, შესაბამისად.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი გარემოებებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაშია მოცემული, კომპანია მომავალ პერიოდში მნიშვნელოვნად შეამცირებს მიწოდების და პრომოციის ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ორგანიზაციის სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვრეთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო ლიზინგს.

სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰკავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა - ლარი).

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468	2.3949
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940	2.6169

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შემენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

კომპანია ადგენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხები და მოთხოვნები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში სესხების და მოთხოვნების კატეგორია წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც.

სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ძირითადი ფაქტორები, რომელიც გაითვალისწინება ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას არის ვადაგადაცილება და მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. გაუფასურების რეზერვი ითვლება რისკის შემცველი აქტივების ჯგუფური და ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მიხედვით. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე, ამასთანავე გაითვალისწინება ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ჰქონია წარსულში, და გამოირიცხება ის ფაქტორები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს.

გაუფასურების რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ფლობდა დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად გამოიწველ ფინანსურ აქტივებს და რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ღირებულებას, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითად საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სადისტრიბუციო აღჭურვილობა	2-4
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
ოფისის აღჭურვილობა	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მიწიშენება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებასა და გადავადებულ მოგების გადასახადს.

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

შესადარისი პერიოდისთვის რომელზეც მოგების გადასახადის ახალი რეგულაცია არ ვრცელდება გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გასაანგარიშებლად გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, როგორც წესი, ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემთხვევაში იმ მოცულობით, რამდენადაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გაიქვითება ეს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზაციის პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის მიმდინარე ეფექტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა შემოსავლები და ხარჯები

სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მსესხებლისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - გაუფასურების მიზნებისთვის კომპანია აჯგუფებს მოთხოვნებს შესაბამის ჯგუფში. გაუფასურების დასათვლელად კომპანია იყენებს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრულ ანარიცხების მატრიცას და მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანია აფასებს მომავალი ფულადი ნაკადების დროში განაწილებას და ანგარიშობს დისკონტირებულ ღირებულებას. საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება გაუფასურების ხარჯად.

• **ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

4. ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის, კერძოდ ლუდის, უალკოჰოლო და ენერგეტიკული სასმელების დისტრიბუციით მიღებულ შემოსავლებს, ხოლო გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება კი აღნიშნული პროდუქტის შეძენის დანახარჯებს. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 2017, 2016 და 2015 წლებში შეადგენს 42,741,340; 33,643,004 და 28,693,844 ლარს, შესაბამისად.

შპს „ზედაზენი 2012“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

გაყიდვის და მიწოდების ხარჯები 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016	2015
შრომის ანაზღაურება	(2,253,401)	(1,669,723)	(1,610,432)
მარკეტინგული და საპრომოციო ხარჯები	(930,164)	(1,026,584)	(516,241)
საწვავი და ტრანსპორტირება	(677,748)	(315,125)	(373,055)
იჯარა	(383,592)	(347,788)	(356,597)
სადისტრიბუციო მანქანების ექსპლუატაციის ხარჯი	(381,668)	(347,171)	(223,488)
ცვეთა	(67,775)	(38,470)	(29,696)
დაზღვევა	(17,928)	(4,684)	-
სხვა	(42,059)	(15,124)	(16,658)
სულ	(4,754,335)	(3,764,669)	(3,126,127)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016	2015
შრომის ანაზღაურება	(380,965)	(287,935)	(352,753)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(80,966)	(62,425)	(41,913)
საოფისე ხარჯი	(42,431)	(21,992)	(14,605)
კომუნიკაციის ხარჯი	(8,447)	(9,686)	(7,796)
ბანკის საკომისიო	(4,545)	(3,058)	(6,918)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,605)	(6,011)	(5,837)
სხვა	(18,750)	(10,849)	(6,602)
სულ	(539,709)	(401,956)	(436,424)

7. სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016	2015
სხვა შემოსავლები			
იჯარა	15,720	10,169	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	24,440	-	-
სხვა	7,139	-	-
სულ სხვა შემოსავლები	47,299	10,169	-
სხვა ხარჯები			
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა	(394,960)	(107,075)	(61,788)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(22,722)	(71,029)	(181,815)
საგადასახადო ხარჯი	(67,087)	(64,221)	(21,167)
სპონსორობა	-	(75,000)	-
სხვა	(22,868)	(6,980)	(30,195)
სულ სხვა ხარჯი	(507,637)	(324,305)	(294,965)
სულ სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	(460,338)	(314,136)	(294,965)

8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის სარგებლის რეკონსილაცია 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016	2015
მიმდინარე მოგების გადასახადი	(52,876)	(27,383)
მიმდინარე მოგების გადასახადის კორექტირება	-	29,559
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის გაუქმება*	(20,861)	-
სულ	(73,737)	2,176

*2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31.12.2015	ცვლილება მოგება- ზარალში	31.12.2016
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები			
ძირითადი საშუალებები	236	(236)	-
მარაგები	11,537	(11,537)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,588	(9,588)	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, გროსი	21,361	(21,361)	-
დასაბეგრი დროებითი სხვაობები			
არამატერიალური აქტივები	(500)	500	-
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, გროსი	(500)	500	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, ნეტო	20,861	(20,861)	-

შპს „ზედაზენი 2012“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სადისტრიბუციო აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ნაშთი 31.12.2014	55,514	64,468	9,252	129,234
შემოსვლა	20,437	112,546	3,036	136,019
ნაშთი 31.12.2015	75,951	177,014	12,288	265,253
შემოსვლა	16,918	-	919	17,837
ნაშთი 31.12.2016	92,869	177,014	13,207	283,090
შემოსვლა	55,453	649,208	6,165	710,826
გასვლა	(4,327)	(34,720)	-	(39,047)
ნაშთი 31.12.2017	143,995	791,502	19,372	954,869

დაგროვილი ცვეთა

ნაშთი 31.12.2014	(21,849)	(18,578)	(3,598)	(44,025)
ცვეთა	(16,298)	(13,516)	(2,328)	(32,142)
ნაშთი 31.12.2015	(38,147)	(32,094)	(5,926)	(76,167)
ცვეთა	(19,228)	(19,241)	(2,553)	(41,022)
ნაშთი 31.12.2016	(57,375)	(51,335)	(8,479)	(117,189)
ცვეთა	(22,431)	(50,213)	(2,478)	(75,122)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	4,327	30,859	-	35,186
ნაშთი 31.12.2017	(75,479)	(70,689)	(10,957)	(157,125)

ნეტო საბალანსო ღირებულება

ნაშთი 31.12.2015	37,804	144,920	6,362	189,086
ნაშთი 31.12.2016	35,494	125,679	4,728	165,901
ნაშთი 31.12.2017	68,516	720,813	8,415	797,744

10. მარაგები

მარაგები 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
მზა პროდუქცია	178,314	-	-
სათადარიგო ნაწილები	51,455	97,847	88,323
სხვა	18,128	4,646	17,396
სულ	247,897	102,493	105,719

შპს „ზედაზენი 2012“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	4,707,425	2,565,266	1,539,013
სხვა მოთხოვნები	27,096	2,500	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(44,145)	(24,646)	(11,290)
სულ ფინანსური აქტივები	4,690,376	2,543,120	1,527,723
არაფინანსური აქტივები			
გადახდილი ავანსები	150,876	16,418	3,333
სულ არაფინანსური აქტივები	150,876	16,418	3,333
სულ	4,841,252	2,559,538	1,531,056

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვში ცვლილება 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016	2015
1 იანვარი	(24,646)	(11,290)	(6,213)
ზრდა	(19,499)	(13,356)	(5,077)
31 დეკემბერი	(44,145)	(24,646)	(11,290)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

12. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი, რომელიც შეადგენს 126,414; 131,808 და 245,070 ლარს, შესაბამისად

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარი	401,918	129,499	105,575
ფული სალაროში, ლარი	194,946	15,940	13,584
სულ	596,864	145,439	119,159

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები*	8,164,471	3,475,871	2,290,372
გადასახდელი დივიდენდი	70,006	70,006	82,181
გადასახდელი ხელფასები	6,913	4,278	2,546
სულ	8,241,390	3,550,155	2,375,099

*სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიმართ არსებული დავალიანება 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,571,943; 3,218,355 და 2,189,847 ლარს, შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,690,376	2,543,120	1,527,723
ფული და ფულის ეკვივალენტები	596,864	145,439	119,159
სულ ფინანსური აქტივები	5,287,240	2,688,559	1,646,882
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,241,390	3,550,155	2,375,099
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,241,390	3,550,155	2,375,099

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოადგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა დაკავშირებითაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს რეალური ღირებულებით წარდგენას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-3 დონის იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება ფული და ფულის ეკვივალენტებისთვის მოხდა 1-ლი დონის იერარქიის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდ დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორებისთვის კომპანია ქმნის სპეციფიკურ რეზერვს.

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე	4,612,688	2,495,147	1,487,738
ვადაგადაცილებული და გაუფასურებული			
ვადაგადაცილება 91-180 დღე	34,841	11,427	20,465
ვადაგადაცილება 181-360 დღე	46,859	35,464	30,810
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	40,133	25,728	-
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	121,833	72,619	51,275
სულ ფინანსური მოთხოვნები გაუფასურებამდე	4,734,521	2,567,766	1,539,013
გაუფასურების რეზერვი	(44,145)	(24,646)	(11,290)
სულ ფინანსური მოთხოვნები	4,690,376	2,543,120	1,527,723

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს 1 წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(105,173)	(539,709)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(60,635)	(401,956)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(55,874)	(436,424)

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 1 და 24 იანვრის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიის სარეალიზაციო საქონლის ერთადერთმა მომწოდებელმა სს „ქართული ლუდის კომპანია“, აიღო ვალდებულება სავაჭრო ქსელში პროდუქციის გაყიდვების სტიმულირებისა და პოზიციონირების მიზნით განხორციელებული მარკეტინგული მომსახურების დაფინანსების შესახებ. სს „ქართული ლუდის კომპანია“ განახორციელებს შპს „ზედაზენი 2012-ის“ მიერ გაწეული მარკეტინგული მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილის ანაზღაურებას როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი პროცენტული მარჟის ოდენობით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზედაზენი 2012-ის“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზედაზენი 2012“-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლებისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლებისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალებმა შეადგინა 1,181,550; 283,487 და 251,789 ლარი 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის და ამ თარიღებისათვის კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს გადააჭარბა 1,607,031; 425,481 და 141,994 ლარით, შესაბამისად. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე, თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიჯნულ გამორჩენებს ან შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე გამოვხატოთ მოსაზრება
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახვენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 აგვისტო 2018



შპს „ზედაზენი 2012“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
ამონაგები	4	42,741,340	33,643,004	28,693,844
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(38,168,508)	(29,371,993)	(25,090,293)
საერთო მოგება		4,572,832	4,271,011	3,603,551
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	5	(4,754,335)	(3,764,669)	(3,126,127)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(539,709)	(401,956)	(436,424)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	7	(460,338)	(314,136)	(294,965)
საოპერაციო ზარალი		(1,181,550)	(209,750)	(253,965)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	-	(73,737)	2,176
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,181,550)	(283,487)	(251,789)

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 16 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ლევან მეფარიშვილი

თინათინ შალვაშვილი

შპს ზედაზენი 2012

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2017 წლის 31 დეკემბერს**

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად	3
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	4
კომპანიის ფილიალების საქმიანობა	5
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	5
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	5
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ზედაზენი 2012“-ის მეწილეებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 16 აგვისტოს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე – მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

სექტემბერი 27, 2018

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის საქმიანობა და სამოქმედო ბაზარი

შპს „ზედაზენი 2012“ 2012 წლიდან ფუნქციონირებს, რომლის ძირითად საქმიანობასაც წარმოადგენს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის (ლუდის, უალკოჰოლო და ენერგეტიკული სასმელების) დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით.

კომპანიას ათვისებული აქვს დაფარვის არეალში მყოფი ობიექტების 90%-ზე მეტი. ამგვარი ობიექტების დაფარვის მაღალი კოეფიციენტით კომპანიას უჭირავს კონკურენტული პოზიცია სხვა სასმელების დისტრიბუტორ კომპანიებს შორის. კომპანია ფუნქციონირებს როგორც ტრადიციულ გაყიდვების არხებში (როგორიცაა, საცალო, საბითუმო მაღაზიები, ქსელური ობიექტები), ასევე, ე.წ. „ჰორეკაში“ (რესტორნების, კაფეებისა და სასტუმროს ტიპის ობიექტებში). კომპანიის საქმიანობა მოიცავს სრულ ლოჯისტიკურ ჯაჭვს პროდუქციის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

სუბიექტის საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

დისტრიბუციის გაყიდვები მზარდი ხასიათისაა - 2017 წელს გაყიდვების ზრდამ შეადგინა 27% და მიაღწია 42.7 მილიონ ლარს (2016 – 33.6 მლნ ლარი). ზრდა გამოწვეულია როგორც კომპანიის პროდუქციის ასორტიმენტის ზრდით, ასევე, გაყიდვების არხების გაფართოებით. გარდა ამისა, 2017 წელს ზედაზენი 2012-მა გააფართოვა სადისტრიბუციო ბიზნესი და თბილისის გარდა სხვა რეგიონებშიც დაიწყო საქმიანობა (სამეგრელო და კახეთი). ამავე წელს, კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა საკუთარ სადისტრიბუციო მანქანებში, რის შედეგადაც მიწოდება მომხმარებლებთან კვლავ ხორციელდებოდა არსებული ბიზნეს მოდელით შეფერხებების გარეშე. აღნიშნული ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 650 ათასი ლარი, რაც წინა წლის მონაცემებს მნიშვნელოვნად აღემატება. სადისტრიბუციო მანქანების შესყიდვის შედეგად 2017 წელს შემცირდა მანქანების ექსპლუატაციის ხარჯი. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, კომპანიის ზარალმა 2017 წელს შეადგინა 1,181,550 ლარი. ზარალის ძირითადი მიზეზებია ბაზარზე ქსელური მაღაზიების წილის ზრდა ტრადიციული გაყიდვების ობიექტებში და სასმელების ბაზარზე კონკურენციის ზრდა, რა ფაქტორებმაც ერთობლივად გამოიწვია როგორც საერთო მოგების მარჟის შემცირება, ასევე, მარკეტინგული დანახარჯების ზრდა.

ფინანსური შედეგების გაუმჯობესება კომპანიას დაგეგმილი აქვს ბიზნეს პროცესების ეფექტიანობის ზრდის, საოპერაციო ხარჯების შემცირებისა და პროდუქციის მიქსის ცვლილებით მომგებიანობის გაუმჯობესების ხარჯზე. სადისტრიბუციო მანქანებში ინვესტირების ეფექტი, რაც ამცირებს სადისტრიბუციო მანქანების ექსპლუატაციის ხარჯებს, მომავალ წლებზეც აისახება. ეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია, საქმიანობის მასშტაბის გაფართოებით, როგორიცაა სადისტრიბუციო პორტფელის ზრდა, რა მიმართულებითაც იგეგმება საქმიანობის განვითარება მომავალი წლებისთვის. სადისტრიბუციო პორტფელის ზრდის შედეგად მოხდება პროდუქციის მიქსის ცვლილებაც, რაც ზედაზენი 2012-სთვის საერთო მოგების მარჟის ზრდას უზრუნველყოფს. კომპანია გეგმავს მარკეტინგული ხარჯების შემცირებას, კერძოდ კი ეს მოხდება სადისტრიბუციო პორტფელში არსებული პროდუქტების ბრენდის მფლობელის მიერ მარკეტინგული ხარჯების დაფინანსების გზით (კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნა).

კომპანიის ოპერაციები სრულად ეროვნულ ვალუტაში ხორციელდება, თუმცა კომპანიის საქმიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. ამის მაგალითია საწვავის ფასების ზრდა, რამაც საანგარიშგებო წლის განმავლობაში უარყოფითი გავლენა იქონია დისტრიბუციის ბიზნესზე.

კომპანიის ფილიალების საქმიანობა

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ფილიალების გარეშე, თუმცა სადისტრიბუციო ქსელი თბილისის გარდა წარმოდგენილია რეგიონებშიც (სამეგრელო და კახეთი).

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

1. გაყიდვების ზრდა - 2017 წელს გაყიდვები გაიზარდა 27%-ით. 2016 წელს გაყიდვების ზრდამ შეადგინა 17%;
2. მომგებიანობა - კომპანიას 2017 წელს ჰქონდა საოპერაციო ზარალი 1,181,550 ლარის ოდენობით.
3. საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდა - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები 2017 წელს შეადგენდა 1,138,642 ლარს. 2016 წლის მონაცემი შეადგენდა 119,274 ლარს.
4. საერთო მოგების მარჟა - 2017 წლისთვის საერთო მოგების მარჟა შემცირდა 10.7%-მდე. 2016 წელს საერთო მოგების მარჟა შეადგენდა 12.7%-ს.

არაფინანსური მაჩვენებლები

საკადრო პოლიტიკა და პერსონალის მართვა

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა/დახვეწა, თანამშრომელთა შრომის და სოციალური დაცვის გაუმჯობესება და შრომის ეფექტურობის ზრდა. კომპანიის საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათთვის შესაფერისი სოციალური და უსაფრთხო შრომითი პირობების შექმნაზე. კომპანიაში 2017 წელში დასაქმებული იყო 212 თანამშრომელი (2016 - 149 თანამშრომელი).

კომპანიის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევით. ასევე, დაზღვეულია ყველა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება დისტრიბუციის განსახორციელებლად კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკ-ფაქტორი შეიძლება იყოს სახელმწიფო რეგულაციები და მოთხოვნები - დისტრიბუციის ბიზნესზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს დამატებითმა რეგულაციებმა, მაგალითად, დისტრიბუციის მანქანების სამუშაო საათების შეზღუდვა შესაძლოა უარყოფითად აისახოს ბიზნესზე და გაზარდოს კომპანიის დანახარჯები და შეამციროს ეფექტიანობა. ამ შემთხვევაში კომპანია გადახედავს თავის ბიზნეს მოდელს და განიხილავს არსებობს თუ არა დისტრიბუციის მოდელის გაუმჯობესების შესაძლებლობა, შესაძლოა მოხდეს ასევე მომსახურების ღირებულების ზრდაც.

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შესრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ზედაზენი 2012 მუშაობს დიდი რაოდენობის მომხმარებელთან, რომლებიც სხვადასხვა განვითარების საფეხურზე არიან, კომპანიის ზომის და მომგებიანობის მიხედვით. ბაზარზე არსებულმა სირთულეებმა შესაძლოა პრობლემა შეუქმნას ამ ობიექტების გადახდისუნარიანობას ან ოპერირებას. მიუხედავად იმისა, რომ ზედაზენი 2012 მხოლოდ სასმელების დისტრიბუციის ბიზნესში ოპერირებს, მასზე მოქმედებს ყველა ის ფაქტორი, რაც მის გაყიდვების არხებზე ახდენს გავლენას. ამ მიმართულებით რისკების სრულად ელიმინირება არ არის შესაძლებელი, რადგან კომპანია მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებს.

ბაზარზე კომპანიის მომხმარებლებისთვის შექმნილი სირთულეები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

გარე ეკონომიკური ფაქტორები - ქვეყანაში არსებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გამო სავაჭრო ობიექტების ძირითად გასაყიდ პროდუქციას წარმოადგენს იმპორტული საქონელი. შედეგად, გარე ბაზრებზე ცვლილებები, როგორცაა, ფასების ზრდა, შეზღუდვები სავაჭრო ვაჭრობაზე, შესაძლოა უარყოფითად აისახოს სავაჭრო ობიექტებზე. ამ მიმართულებით რეგიონული თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს რისკი ქვეყნისთვის შესაძლოა შეფასდეს როგორც საშუალო.

საკანონმდებლო ცვლილებები - სავაჭრო ობიექტების საქმიანობის რეგულირებაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებებმა. ეს რისკი ამჟამად შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი, რადგანაც ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ ეტაპობრივად მიიღება.

საბოლოო მომხმარებლების შემოსავლებში ცვლილება - საბოლოო მომხმარებლების შემოსავლების დონე გავლენას ახდენს სავაჭრო ობიექტების გაყიდვებზე - შემოსავლების ზრდის შედეგად იზრდება ობიექტების შემოსავლებიც. დღეისათვის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) სტაბილურად მზარდი ტემპით ხასიათდება, ამიტომაც საბოლოო მომხმარებლების შემოსავლების შემცირების რისკი დაბალია. პირიქით, კვლავაც იგეგმება მშპ-ს ზრდა, რაც წარმოადგენს ბაზრის შესაძლებლობას კომპანიის შემდგომი განვითარებისთვის.

ფინანსური რისკების გაუთვალისწინებლობა - სავაჭრო ობიექტების მფლობელებს სხვადასხვა დონის ცოდნა და გამოცდილება აქვთ ბიზნესის და ფინანსების წარმართვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა ობიექტებმა ვერ გაითვალისწინონ ფინანსური რისკები და აღმოჩნდნენ ფინანსური პრობლემების წინაშე. შედეგად, მნიშვნელოვანია მოხდეს ბიზნეს-ცნობიერების ამაღლება ქვეყანაში, რომ მეტად მდგრადი ბიზნეს მოდელები შეიქმნას საცალო სავაჭრო ბიზნესში. ამ მიმართულებით რისკების მინიმიზაციას გარკვეულწილად ახდენს სახელმწიფო პროგრამები, რაც ტრენინგების საშუალებით ეხმარება მეწარმეებს განახორციელონ სწორი ფინანსური მენეჯმენტი და შეინარჩუნონ ჯანსაღი ბიზნეს მოდელი. ეს რისკი შესაძლოა, შეფასდეს როგორც საშუალო.

საკრედიტო რისკების მინიმიზაციისთვის კომპანია მუდმივად ახდენს რისკების მონიტორინგს, რათა შეინარჩუნოს სავაჭრო მოთხოვნების ჯანსაღი მდგომარეობა. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდ დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 15).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 15).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნომინირებულია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ლ. მეფარიშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ზედაზენი 2012“-ის მეწილეებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 16 აგვისტოს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

27 სექტემბერი 2018

საკრედიტო რისკების მინიმიზაციისთვის კომპანია მუდმივად ახდენს რისკების მონიტორინგს, რათა შეინარჩუნოს სავაჭრო მოთხოვნების ჯანსაღი მდგომარეობა. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდ დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 15).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 15).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვლადობის გამო. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნომინირებულია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ლ. მეფარიშვილი